საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 675-03
26/02/2019

2019 წელს ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) ჩაბარების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, გამოცდის თარიღის, საფასურისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სერვანტესის ინსტიტუტს შორის 2013 წლის 17 მაისს გაფორმებული შეთანხმების, სერვანტესის ინსტიტუტის 2015 წლის 18 მარტის N02-3060/15 წერილის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 25 თებერვლის N2750-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) 2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდეს სამჯერ და განისაზღვროს შესაბამისი თარიღები ამ ბრძანების მიხედვით.

2. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) A1, A2, B1 სასკოლო დონეებისათვის ჩატარდეს 2019 წლის 24 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო A1, A2, B1, B2, C1, C2 ენობრივი დონეებისათვის ჩატარდეს 2018 წლის 25 მაისს. ამ თარიღებისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 27 მარტი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–17:00 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის 32, ოთახი A204;

3. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) A2, B1, B2, C1 ენობრივი დონეებისათვის ჩატარდეს 2019 წლის 12 ივლისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ თარიღისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო

ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 16 მაისი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–17:00 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის 32, ოთახი A204;

4. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) A1, A2, B1 სასკოლო დონეებისათვის ჩატარდეს 2019 წლის 22 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო A1, A2, B1, B2, C1, C2 ენობრივი დონეებიისათვის ჩატარდეს 2017 წლის 23 ნოემბერს. ამ თარიღებისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 9 ოქტომბერი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–17:00 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის 32, ოთახი A204;

5. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველებმა რეგისტრაციის ადგილზე უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფურცელი და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ორიგინალი და ასლი;

ბ) გამოცდაზე დარეგისტრირებისთვის საჭირო, გამოცდის დონის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: **ხაზინის ერთიანი ანგარიში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივ ერსიტეტი ს/კ204861970**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:**708997261**
მიმღების ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
დანიშნულებაში ჩაიწეროს- პირის სახელი და გვარი, DELE-ს გამოცდის საფასური.

6. ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდაში (DELE) მონაწილეობის მსურველთათვის გამოცდის საფასური განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;

7. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრატორად განისაზღვროს ნინო ქარელი(ენების დიდაქტიკის ცენტრის კოორდინატორი);

8. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) საგამოცდო კომისიისა და კომისიის აპარატის შემადგენლობა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

9. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის ესპანური ენის მასწავლებელს თამარ ბესელიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს - გიორგი გვალიას;

10. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსება;

11. უნივერსიტეტის კანცელარიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და ამ ბრძანების N2 დანართით განსაზღვრულ პირებს.

გიგა ზედანია

რექტორი